ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №01
2025 წლის 23 იანვარი

დაბა ლენტეხი

„2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge, 13/12/2024 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.102434), „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016422, 01/01/2025 წ.) შევიდეს ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 2025 წლისთვის დანართი №1-ის მიხედვით“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2025 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე		1	5998
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		1	4535
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		2	3950
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		5	3219
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		3	2926
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		6	2341
	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეული – აპარატი			
7	საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	I რანგი	1	3358
8	პროფესიული საჯარო მოხელე – I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	6	1898
9	პროფესიული საჯარო მოხელე – II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	2	1752
	ჯამი		27	

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი გაზდელიანი**